ჩემი საქართველო

№72, მარტი, 2021

საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის გაზეთი მათთვის, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, ლიდეობა სურთ და პროფესიონალიზმს ესწრაფვიან!

ღმერთმა დალოცოს საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები. ტექნიკური პერსონალი. სტუდენტი-ახალგაზრდობა და მათი მშობლები.

+ ილია II,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

პროფესორი

რექტორის ზრიბუნა

გარი ჩაფიძე – პედაგოგიური ურთიერთობის ხელოვნება

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „ჩემი საქართველო“ 62; 63; 64)

მოზარდობის ასაკში სოციალიზაციის ნორმალური წარმართვის მიზნით, ყველაზე ეფექტური საშუალებაა თეორიულის სწავლებისა და მწარმოებლური შრომის ერთდროულობა, მათი შეერთება. ადამიანის ცნობიერება წარმოიშვა და განვითარდა შრომის პროცესში. მილიონი წლების განმავლობაში მრავალი თაობა სწავლობდა და გამოცდილებას იძენდა მხოლოდ და მხოლოდ შრომის პროცესში. ადამიანის ფსიქიკა განვითარდა და ისე „მოეწყო“, რომ თეორიული ცოდნის ათვისება უადვილდება პრაქტიკასთან, შრომასთან მჭიდრო კავშირში.

მწარმოებლურ შრომასთან დაკავშირებული სწავლება მოხსნის ბევრ პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ სიძნელეს, რაც თავს იჩენს არა მარტო უშუალოდ სწავლებისა და აღზრდის პროცესში, არამედ პედაგოგ-აღმზრდელთა დამოკიდებულებაშიც. სწავლებისა და შრომის ერთდროულობა, მათი ურთიერთშერწყმა იძლევა იმის საშუალებას, რომ აღმზრდელმა შეცვალოს დამოკიდებულება მოზარდის მიმართ, დაამყაროს მასთან თანამშრომლობა, კოლეგიალური ურთიერთობა, იყოს მისი დამხმარე და ამხანაგი სწავლებისა და შრომის პროცესში, ეს მოხსნის სპეციფიკურ, ტრადიციულ სიძნელეებს, რომლებიც არსებობს მოზარდსა და აღმზრდელს შორის.

სწავლებისა და შრომის შეერთება ხელს შეუწყობს თეორიული ცოდნის სწრაფ და ხარისხიან შეთვისებას, პროფესიის მაღალ დონეზე დაუფლებას, მოზარდის მზადყოფნას სასწავლებლის დამთავრებისთანავე შეუდგეს დამოუკიდებელ შრომით საქმიანობას. ამიტომაც სკოლის სასწავლო პროცესის სინქრონულად, ჩვენს არაფორმალურ პროფესიული განათლების ცენტრებში გადავწყვიტეთ წინ წამოგვეწია აგრალური საკითხები, კერძოდ მცირე მექანიზაცია და ვეტერინარია, ამ მიზნით შევქმენით მინი მეურნეობები ქარელში „ხილიანი“, თერჯოლაში „დაფნარი“ გურჯაანში „თიბათვე“ და რამოდენიმე მცირე საწარმო, რომელთაც თვითონ მოსწავლეები და სტუდენტები უხელმძღვანელებენ, მატერიალური დაინტერესების კუთხით, ფინანსურ ოპერაციებსაც თვითონ განახორციელებენ.

ადამიანთა ცხოვრების, საქმიანობის და სწრაფვის სფერო იყო და არის ეკონომიკა, სწორედ აქ იქმნება მატერიალურად და სულიერად მდიდარი, საზოგადოების ახალი თვისებრივი მდგომარეობის მიღწევის წინამძღვრები. დღეს ურთულესი ამოცანების, დიდი გამოწვევების წინაშეა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, ბიზნესის არსს ბავშვობიდანვე უნდა მიეცეს დასაყრდენი.

ამერიკელი ბიზნესმენები დიდ ინტერესს იჩენენ მცირეწლოვანთა მიმართ, ეს გამოწვეულია არა მათი საქველმოქმედო გრძნობებით, არამედ კვალიფიციური მუშახელის აღზრდაზე ზრუნვით. საქმე ისაა, რომ კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა აშშ-ის მწვავე პრობლემაა. აწყდება რა მზარდ საერთაშორისო კონკურენციას, აშშ-ს კომპანიებს ესაჭიროება კარგად განსწავლული მუშახელი, ვინაიდან ბიზნესი და მრეწველობა ისე სწრაფად ვითარდება და იცვლება, რომ დღევანდელი მუშების 75 პროცენტი, რომლებიც 2030 წლამდე იმუშავებენ, როგორც რენდი როსი აღნიშნავს, თავიანთი მოღვაწეობის მანძილზე 4-ჯერ შეიცვლიან პროფესიას, აქედან 2 პროფესია ჯერ არც კი არსებობს, ბუნებრივია, პროფესიათა ცვლა გამოიწვევს ხელახალ სწავლებას, რაც თავისთავად დიდ ხარჯებს მოითხოვს.

იმისათვის, რათა ახალ ისტორიულ ვითარებაში თავიანთი პოზიციები შეინარჩუნონ, აშშ-ის საქმიანი წრეები ეძებენ გამოსავალს. და აი, სწორედ ამ გარემოებით იყო ნაკარნახევი, ნიუ-იორკის ეკონომიკური განვითარების კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული გამოკვლევა, რომელიც სახელმწიფო და კერძო სექტორებს მოუწოდებდა, დაეფინანსებინათ მცირე შემოსავლიანი ოჯახების 3-4 წლის ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა და სკოლამდელი მომზადების პროგრამები. ამ პროგრამის გარეშე, ნათქვამია მოხსენებაში, სიღარიბემ და უცოდინარობამ შეიძლება მომავალში გამოიწვიოს კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა და საშიშროება შეუქმნას აშშ-ის კონკურენციის უნარს მსოფლიო მასშტაბით.

კომპანია „პროექტერ ენდ გემბლის“ ყოფილი მმართველის, ოუენ ბატლერის აზრით, აშშ-ის საქმიანი წრეები ბოლო 10 წლის განმავლობაში დარწმუნდნენ, რომ გაცილებით უფრო შედეგიანია ხარისხის დასაწყისშივე უზრუნველყოფა, ვიდრე მდგომარეობის შემდგომ გამოსწორება, რომ ახლა დაბანდებული ყოველი დოლარი, მომავალში ხუთმაგად ანაზღაურდება, სწორედ ამით აიხსნება, რომ ბოლო წლებში ფართო გამოხმაურება ჰპოვეს პროგრამებმა, რომლებიც ითვალისწინებენ კომპანიების თანამშრომლობას სკოლებთან, კოლეჯებთან, სასწავლო ცენტრებთან, რაც გამოიხატება ფინანსური დახმარების აღმოჩენასა და შრომით უზრუნველყოფაში.

ასე მაგალითად: რამოდენიმე წლის წინათ ბოსტონის საქმიანი წრეების ხელმძღვანელებმა განათლების სისტემის მესვეურთა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავეს პროგრამა, რომლის საფუძველზეც ადგილობრივი კომპანიები ზაფხულობით უზრუნველყოფდნენ მოსწავლეებს და სტუდენტებს სამუშაოთი, ხოლო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, შეძლებისდაგვარად, დააკმაყოფილებდნენ სამუშაო ადგილით კერძო სექტორში. ამდენად, იმისმა რწმენამ, რომ ბეჯითი სწავლა სამუშაოთი უზრუნველყოფის გარანტიაა, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ლექციებზე დასწრებისა და აკადემიური მოსწრების საქმე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ანაკლია

შემაჯამებელი შეხვედრა

არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო პროცესის შემაჯამებელი შეხვედრა შედგა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ანაკლიის სასწავლო ცენტრში, ცენტრის განათლების ხარისხის მართვს სამსახურის უფროსი ლელა სულეიმანიშვილი პირადად ჩაერთო სტუდენტთა მიღებული ცონდის გაანალიზებისა და მათი პრაქტიკული გამოყენების საკითხებში, საყურადღებოა, რომ ანაკლია, ჩვენი, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების ერთ-ერთი მოწინავე სასწავლო ცენტრია, სადაც სხვა აქტივობებთან ერთად, მომავალი სასწავლო წლისათვის, დაგეგმილია ახალი კორპუსის მშენებლობა, იმიტირებული სასწავლო პროცესების მაღალ დონეზე და ორგანიზებულად წარმართვისათვის.

ტყიბული

ღია ლექციები

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების ქ, ტყიბულის სასწავლო ცენტრი, რომელიც ინსტიტუტის კუთვნილ შენობაში, ქ. ტყიბულის ცენტრში მდებარეობს, გახსნის პირველი დღიდან იქცა არამარტო სტუდენტების, არამედ მთელი ქალაქის მოსახლეობისათვის სამეცნიერო ცენტრად, აქ იმიტირებული სწავლების პარალელურად, ხშირია ღია საგანმანათლებლო-სამეცნიერო ლექციები, თავისუფალი დასწრებით, სადაც მათ ფრიად ერუდირებული, განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, ქალბატონი ირმა ჯიხვაშვილიშვილი-გამთენაძე უწევს მეგზურობას!

ახალი სასწავლო წლიდან, ახალი შემართებით, ახალი მიღწევებითა და შემოქმედებითი სრულფასოვნებით შეხვდება ახალ სტუდენტებს ჩვენი, ქ. ტყიბულის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრი.

რას წერენ ჩვენზე

აკადემიურ ქალაქში კონკურსის შედეგები შეჯამდა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის საქართველოს პედაგოგთა კავშირი დიდი დაბრკოლებების მიუხედავად, მუდმივად ზრუნავს არა მხოლოდ იაკობის სხელის უკვდავყოფისათვის, არამედ შეძლებისდაგვარად ყველაფერს აკეთებს ქართული ეროვნული ცნობიერების გაღრმავებისათვის, ეროვნული ღირებულებების შენარჩუნებისა და ქართული განათლების სისტემის იმგვარად გადარჩენისათვის, რომ კვლავაც „დედა ენით" იზრდებოდნენ თაობები. ეს მისია არცთუ მცირეა და ამ კავშირის ხელმძღვანელებსა და გამგეობის წევრებს, ყველას, ვისაც ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე გული ერჩის საშვილიშვილო საქმის საკეთებლად, ნამდვილად მადლობა ეთქმის. მით უმეტეს მაშინ, როდესაც წლიდან წლამდე პედაგოგთა კავშირის მიერ უამრავი საინტერესო ღონისძიება ხორციელდება მთელი საქართველოს მასშტაბით.

ამ დღეებში წინასწარ დაგეგმილი კონკურსის შედეგების შეჯამება მოხდა რუსთავში, აკადემიურ ქალაქში, სადაც თავი მოიყარეს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან იმ გამარჯვებულმა პედაგოგებმა, რომელთაც შესაშურ დონეზე შეასრულეს კონკურსის პირობით გათვალისწინებული ნამუშევრები, დროულად მიაწოდეს ჟიურის და დაელოდნენ შედეგებს.

ღონისძიება აკადემიურ ქალაქში, ღია ცის ქვეშ ყველა გათვალისწინებული ნორმით ჩატარდა.

მორიგი კონკურსის თემა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილებით შემდეგი იყო, „საქართველოს ევროპული ისტორია". ეს სადღეისოდ აქტიური თემა შემთხვევით არ არჩეულა. ქვეყნის საჯარო თუ კერძო სკოლებში, ისწავლება რა ისტორიული ურთიერთობები ევროპასთან და ევროპა-საქართველოს დღევანდელი ურთიერთობებიც... საინტერესოდ იქნა მიჩნეული, თუ როგორ წყვეტენ ამ საკითხების სწავლა-სწავლების გაკვეთილებზე და რაგვარ წვდომას ამჟღავნებენ მოზარდები ამ ურთიერთობებზე.

კონკურსის შედეგების შეჯამებას ამაღლებული ხასიათი ჰქონდა. მას უძღვებოდნენ საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე, აკადემიკოსი გარი ჩაფიძე და მისი მოადგილე პროფესორი ლეილა გეგეშიძე. ღონისძიებას სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ ქვემო ქართლის გუბერნიის წარმომადგენელი სოსო პირველი, ქ. რუსთავის მე-4 საჯარო სკოლის დირექტორი მამუკა ხამხაძე, ცნობილი მეცენატი თამაზ გველუკაშვილი, რეგიონებიდან ჩამობრძანებული გამარჯვებული პედაგოგები და მოსწავლეები. ღონისძიების საპატიო სტუმრები იყვნენ ქართველ ემიგრანტთა საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი ათენში, ამავე ქალაქში ქართული საკვირაო სკოლის დირექტორი, ემიგრანტთა სახლის დამფუძნებელი საბერძნეთში დარეჯან ღამბაშიძე და ბელგიაში ემიგრანტთა საერთაშორისო ცენტრის დამფუძნებელი ანა ბალამწარაშვილი.

ჯილდოები ასე განაწილდა: ქარელის რაიონის ქვემო ხვედურეთის საჯარო სკოლის ქართული ენის წამყვანი პედაგოგი მანანა ელბაქიძე – საპატიო სიგელით, ხაშურის წრომის საჯარო სკოლის ისტორია-გეოგრაფიის მასწავლებელი ელისო მურადაშვილი – საპატიო სიგელით, ჩოხატაურის სოფელ გოგოლეს უბნის საჯარო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი თამილა ძნელაძე – საპატიო სიგელით. ხოლო მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიჩბისის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი მაია კონიაშვილი დაჯილდოვდა იაკობ გოგებაშვილის მედლით, თბილისის 113-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი ირაკლი ნოდია ასევე – იაკობ გოგებაშვილის მედლით, საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ თბილისის ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე საჯარო სკოლის პედაგოგი ნუგზარ მოლაშვილი და ლანჩხუთის მე-3 საჯარო სკოლის პედაგოგი ნინო კეკელიძე.

კონკურსის ჟიურიმ ყველა გამარჯვებულს და სტუმრად წვეულს სავაჭრო ქსელის „ფენიქსის" და წიგნების ქსელის „ქართუს" სახელით საჩუქრად გადასცა ძალიან საინტერესო გამოცემები.

დავსძენთ, რომ წელს დიდდ იაკობის დაბადებიდან საიუბილეო – 180-ე წელია. პედაგოგთა კავშირი ყველაფერს აკეთებს, რომ ეს პერიოდი გამორჩეული იყოს და დიდი მამულიშვილის მიმართ კვლავაც უდიდესი მადლიერების გამოხატვა შეეძლოთ ამის დასტურია სულ ახლახანს გამოცემული ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" მე-5 ნომერი, რომელიც ფრიად საინტერესო მასალებს ბეჭდავს საქართველო-ევრიპულ ურთიერთობებსა და იმ ცნობილ სახელებზე, ვინც ამ ურთიერთობებს ჩაუყარა საფუძველი, რომ არა კოვიდშეზღუდვები, ბუნებრივია, უფრო საინტერესო იქნებოდა პედაგოგთა კავშირის საქმიანობა საქართველოს ყველა რეგიონში.

ლია მარტაშვილი

გაზეთი „რუსთავი" № 109728

რუსთავი

მადლობა მხარდაჭერისათვის

მსოფლიოში შექმნილი, პანდემიასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, თითქმის თავდაყირა დადგა განათლების სისტემა მთელ რიგ სახელმწიფოებში, სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენმა ქვეყანამ დროულად გაართვა თავი აღნიშნულ გამოწვევას და ონლაინ სწავლებით დაძლია საგანმანათლებლო კრიზისი, ჩვენთვის, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. რუსთავის სასწავლო ცენტრისათვის, რომელიც არაფორმალური პროფესიული განათლების მიმართულებით ფუნქციონირებს, აღნიშნული საკითხი მეტ სირთულეს წარმოადგენდა, მაგრამ ადგილზე რექტორატის ოპერატიული ჩართვითა და თითოეული თანამშრომლის მაღალი პასუხისმგებლობით, შევძელით ყველა ბარიერის უმოკლეს დროში გადალახვა, რამეთუ ჩვენს სტუდენტებს უპრობლემოდ შეძლებოდათ არჩეული პროფესიის განმტკიცება წელიწადის გაცდენისა და დროის დაკარგვის გარეშე! მადლობა სასწავლებლის ხელმძღვანელს, პროფესორ გარი ჩაფიძეს აღნიშნული საკითხის მაღალ დონეზე მოწესრიგებისა და იმ მხარდაჭერისათვის, რომელსაც პირადად მე და ყველა ჩვენი პედაგოგი გრძნობდა ონლაინ ჩართვების დროს! ასევე მადლობა ჩემს კოლეგებს: ზ. ქსოვრელს, ზ. ლამზოშვილს, მ. ჩხაიძეს, ნ. კახოშვილს, ს. ცალანს, თ. ხაბურზანიას და სხვებს დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის!

ქეთევან ცისკარაშვილი

ქ. რუსთავის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: 3700 ქ. რუსთავი შევჩენკოს ქუჩა №5; (აკადემიური ქალაქი) კორპუსი №4

ტელ: (0341) 22-25-00; 27-99-00; 22-77-77; 25-37-00; 25-39-00; 27-94-00; 27-96-00

ISSN 2298-0369

ქუთაისი

ხასიათის თვისებები

ასეთი იყო მაქსიმალურად მრავალფეროვანი, საინტერესო და სრულყოფილი, სტუდენტებში აზროვნების განვითარებაზე ორიენტირებული ლექციის თემატიკა, რომელსაც პროფესორი დავით შავიანიძე უძღვებოდა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. ქუთაისის არაფორმალური პროფესიული განათლების (ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი მ. ქობულაძე) სასწავლო ცენტრში, სტუდენტი-ახალგაზრდობა, ასევე აღაფრთოვანა თავისუფალი ლექციების რაკურსით, ცნობილი ექიმისა და ქ. ქუთაისის საკრებულოს დეპუტატის ბატონ მერაბ კვიცარიძის მიერ წაკითხულმა ლექციათა კურსმა ახალგაზრდებში ანალიტიკური, კრიტიკული, ლოგიკური და შემოქმეებითი აზროვნების განვითარებაზე.

დმანისი

სწავლომა – დასაქმებით!

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების ქ. დმანისის სასწავლო ცენტრი, არსებობის მხოლოდ ორ ერთეულ წელს ითვლის, მაგრამ მიუხედავად ამ უმცირესი დროისა, შეძლო რეგიონში, საკუთარი ხელწერის საგანმანათლებლო დაწესებულებად ქცეულიყო, არაფორმალური პროფესიული განათლების კუთხით, აქ სტუდენტთა მზარდი ნაკადი და პედაგოგთა მაღალი პროფესიონალიზმი, სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის, ნონა აფრასიძის უნარიან მუშაობაზე მეტყველებს... მომდევნო სასწავლო წლიდან ბევრი სიახლე იგეგმება ქ. დმანისში, უკვე მოძიებულია შენობა-ნაგებობა, სადაც ჩვენი ინსტიტუტის სასწავლო ცენტრის ფარგლებში საბავშვო ბაღი გაიხსნება, რაც ამ რაიონის მკვიდრთათვის უდიდესი შენაძენი გახლავთ, ასევე, ქ.დმანისის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, აქვე დაგეგმილია ფეხსაცმელების მინი ფაბრიკის გახსნა, სადაც არაფორმალური პროფესიული განათლების ეგიდით, პროფესიას დაუფლებული სტუდენტები, სწორედ ამ ფაბრიკაში დასაქმდებიან ადგილზე სტაჟირებით, მაღალი ხელფასითა და მათთვის მისაღები პირობებით.

ემიგრანტის სახლი

რეგულაციების სრული დაცვით, ღია სივრცეში, მაღალ დონეზე და ორგანიზებულად წარიმართა ქ. რუსთავის აკადემიურ ქალაქში შეხვედრა ქართველ ემიგრანტებთან, ღონისძიება ქ. რუსთავის ემიგრანტის სახლის მხარდაჭერით გაიმართა და ყველა თაობის წარმომადგენელთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია, ემიგრანტთა საერთაშორისო ცენტრის დამფუძნებლებმა დარეჯან ღამბაშიძემ და ანა ბალამწარაშვილმა ამომწურავად ისაუბრეს აღნიშნული ცენტრის საქმიანობაზე და მომავლის პერსპექტივებზე, ხოლო საერთაშორისო ცენტრისა და ემიგრანტის სახლის სრულფასოვნებაზე შეკრებილ საზოგადოებას ესაუბრა პროფესორი გარი ჩაფიძე, რომელმაც ასევე, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედადოგთა კავშირის ეგიდით, იაკობ გოგებაშვილის მედლით დააჯილდოვა ცნობილი ქართველი პოეტი ემიგრანტი ქალბატონი თინათინ მღვდლიაშვილი, საპატიო სიგელები გადაეცათ: ა. ბალამწარაშვილს, დ. ღამბაშიძეს, ი. ხახუტაშვილს, ი. პირველს, მ. მათიაშვილს, ვ. დადვანს ქართველ ემიგრანტთა საქმიანობაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

ლაგოდეხი

ლიტერატურული თეატრი

ათი წელია, რაც საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრი დაფუძნდა ქ.ლაგოდეხში, რომელსაც სათავეში ერუდირებული ახალგაზრდა ოთარ ხაზარაძე ჩაუდგა... ათი წელი, ამ ხნის განმავლობაში ბევრი შენობა გამოვიცვალეთ, სანამ საკუთარი არ ავაშენეთ, ბევრი წინააღმდეგობა გადავლახეთ, სანამ ადგილობრივი მოსახლეობის ნდობასა და სიყვარულის მოვიპოვებდით და დღეს ჩვენი, ქ. ლაგოდეხის სასწავლო ცენტრი, ერთ-ერთი მოწინავეა იმ ოცდარვა არაფორმალურ პროფესიულ განათლების სასწავლო ცენტრებს შორის, რომელიც საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ეგიდით, ჩვენი ქვეყნის ოცდარვა ადმინისტრაციულ ერთეულშია გახსნილი, ახალი სასწავლო წლიდან კი... კიდევ ერთი დიდი სიახლე ელით ქალაქ ლაგოდეხის მოსახლეობას, ჩვენს არაფორმალურ პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრს, ხელოვნების სპეციალობები დაემატება, რომელიც ქ. ლაგოდეხში,ლიტერატურული თეატრის შექმნის წინა პირობაა, თეატრი ჩვენი სასწავლო ცენტრის ეგიდით იფუნქციონირებს, რომელშიც ჩვენივე კურსდამთავრებულები დასაქმდებიან.

ქმნა სიკეთისა

დღევანდელ ურთულეს ცხოვრებაში, როცა ადამიანთა ერთი ნაწილის მიდგომა ნებისმიერი საკითხისადმი, აღგზნებადი და ნერვული სტრესის შემცველია, როცა თითოეული ჩვენთაგანი საკუთარ პრობლემებს ვერ უმკლავდება და მიუხედავად სხვისთვის დახმარების გაწევის დიდი სურვილისა, შესაძლებლობის არქონის გამო, ქველმოქედებაზე ფიქრიც ზედმეტია... არიან ადამიანები, რომელთათვისაც არ არსებობს სიტყვა „სხვისი ჭირი“, – ისინი ყოველთვის მზად არიან უმწეოთა დასახმარებლად, ასე იყო ახლაც, ამ ცოტა ხნის წინ, ჩვენს აკადემიურ ქალაქთან ავტომობილი რომ გაჩერდა და მოგვახსენეს თქვენი მოხუცთა სახლისათვის პროდუქტი მოვიტანეთო და უზარმაზარ ჩანთებში კოხტად ჩალაგებული სანოვაგე რომ გადმოგვილაგეს, საიდან ბრძანდებით-მეთქი, ჩავეძიე – „რა მნიშვნელობა აქვს, განა სიკეთეს აფიშირება უნდა?!“ – ვერაფრით დავაცდენინე საკუთარი ვინაობა ამ რაინდებს, მადლობა მათ და მის კოლექტივს სიკეთის ქმნისათვის!

გამოსათხოვარი

ნათია ალექსიძე

საქართველოს პედაგოგთა მრავალათასიან პედაგოგიურ ელიტას გამოაკლდა ღირსეული ქალბატონი, საქართველოს იაკობ გოგებაშვლის სახელობის პედაგოგთა კავშირის ქვემო ქართლის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნათია ალექსიძე, იგი ოთხ ათეულ წელზე მეტი ემსახურებოდა მომავალი თაობის აღზრდას, როგორც რუსთავის ოცდამესამე საჯარო სკოლის დაწყებითი განათლების მენტორ-მასწავლებელი.

იყო ერუდირებული, უდიდესი ინტელექტისა და კულტურის მქონე ქალბატონი, თავის საქმის ბრწყინვალე სპეციალისტი, კარგი ადამიანი და კოლეგა, ჭეშმარიტი პედაგოგი!

არასოდეს ამბობდა უარს თავისი მდიდარი გამოცდილება გაეზიარებინა აღსაზრდელებისა და კოლეგებისთვის, იყო მრავალი ახალგაზრდის გზის მაჩვენებელი, აღმზრდელი და დამრიგებელი, არ არსებობს ადამიანი, რომელთანაც ერთხელაც კი ჰქონია ურთიერთობა და მისი სიყვარული და სიმპატია არ დაუმსახურებია!

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირი დიდ მწუხარებას გამოვთქვამთ მისი გარდაცვალების გამო, იგი ყოველთვის იქნება ჩვენთვის როგორც მაგალითი პედაგოგიური კეთილსინდისიერების, გულისხმიერების, პროფესიონალიზმის, სითბოსა და სიყვარულის.

მისი ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულებში

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის
სახელობის პედაგოგთა კავშირი

„EUCEN“-ის საერთაშორისო საგანმანათლებლო ევრო აკრედიტაციის მფლობელი მსოფლიო ინტერნაციონალური კომიტეტის წევრი

საქართველო უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის სასწავლო ცენტრები

აცხადებს მიღებას

IX და XII კლასდამთავრებულთათვის, ასევე მიღებიან X, XI, XII კლასის მოსწავლეები სწავლისაგან მოუწყვეტლად

არაფორმალური პროფესიული განათლების ეგიდით

- ✓ კომპიუტერული ტექნოლოგიები
- ✓ დაცვა-პატრულირება
- ✓ ბანკის ოპერატორი
- ✓ ფარმაცევტის თანაშემწე
- ✓ ბაგა-ბაღის აღმზრდელი
- ✓ კორესპონდენტი
- ✓ გიდი, ტურიზმი

მისამართი:

ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №7
ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქუჩა №5 (აკადემიური ქალაქი)
ქ. ანაკლია, რუსთაველის ქუჩა №143ᵃ
ქ. აბაშა, აღმაშენებლის ქუჩა №141
ქ. ოზურგეთი, კვაჭალათას ქუჩა №5
ქ. ქუთაისი, ტ. ტაბიძის ქუჩა №29
ქ. ტყიბული, კოსტავას ქუჩა №1
ქ. თერჯოლა, აღმაშენებლის ქუჩა №3
ქ. ჭიათურა, ყაზბეგის ქუჩა №6
ქ. მარნეული, რუსთაველის ქუჩა №36
ქ. დმანისი, 9 აპრილის ჩიხი №25
ქ. ბოლნისი, აღმაშენებლის ქუჩა №58
ქ. საგარეჯო, აღმაშენებლის ქუჩა №6
ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქუჩა №6
ქ. ლაგოდეხი, ვაშლოვანის ქუჩა №2
ქ. თელავი, ალაზნის ქუჩა №71

კურსდამთავრებულები მიიღებენ სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სამეცნიერო დიპლომს!